ოქმი:**ო12. 3724162001**

თარიღი:**10/06/2024**

ოქმი N 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 7 ივნისი
ქ.ოზურგეთი
12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. მელუა, ნ. ღაჟონია, მ. ვაშალომიძე, დ. მდინარაძე, გ. სირაძე, ნ. ჭანიშვილი, ვლ. ხავთასი, მ. ჩხიკვიშვილი, ნ. ნადირაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის შესრულების შედეგების შესახებ.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი
თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს ვრცლად გააცნო დღის წესრიგის საკითხი, თანამომხსენებელმა მაიზერ ცელაძემ კი უპასუხა დასმულ შეკითხვებს. აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 8 იანვრის დადგენილება N1 შესაბამისად, რომელიც ეხება უსახლკარო , მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი პროგრამის დამტკიცებას, მუნიციპალიტეტიდან გადასამოწმებლად გაიგზავნა 52 მრავალშვილიანი ოჯახის მონაცემები. მიმდინარე წელს ფინანსური დახმარება საამშენებლო მასალების შესაძენად გაეწია 22 ოჯახს, ამათგან ხანძრისგან დაზარალებულ-6, ხოლო მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ 16 ოჯახს, რაც შეეხება სტიქიისაგან დაზარალებულ ოჯახთა დახმარებას, მათ საცხოვრისის შეძენის მიზნით გადაეცათ 3000-5000 ლარის ფარგლებში ფინანსური დახმარება, ამასთან საცხოვრისის შეძენამდე უზერუნველყოფილი იყვნენ ბინის ქირის საფასურის გადახდით(300 ლარი). სტიქიის შედეგად დაზარალებულია 1135 ოჯახი, აქედან განსახლდა-472. გაიცა 980 ინდივიდუალური სახურავი, ამაში შედის 20 კორპუსი, 7 ადმინისტრაციული შენობა. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ კომისიის წევრებმა დასვეს შეკითხვები, დ. მდინარაძემ-ქ. ოზურგეთში, ყაზბეგის ქუჩაზე მოქალაქე დ. რუსიეშვილის ოჯახი მეწყრისაგან დაზიანებულია, შემოტანილი აქვს მერიაში დახმარების თაობაზე განცხადება-ითხოვს რეაგირებას, მ. ვაშალომიძემ-გრიბოედოვის ქუჩაზე გ. ქერქაძის საცხოვრებელი სახლი მდინარის ადიდებისას იტბორება-ითხოვს რეაგირებას, გ. სირაძე-წულუკიძის ქუჩაზე ე.წ. „შეკიდულ ბაღებთან“ გასაწმენდია მდინარის კალაპოტი, მანვე დასვა შეკითხვა- გაგზავნილი 52 მრავალშვილიანი

ოჯახიდან ყველას დააკმაყოფილებენ? განუმარტეს, რომ დაკმაყოფილება მოხდება მდგომარეობის სიმძიმის შესწავლის შესაბამისად. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს ინფორმაცია მიიღონ ცნობად და საჭიროების შემთხვევაში მოახსენონ საკრებულოს სხდომას.

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომაზე მოსმენილი ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი